საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

12/11/2024

MES 5 24 0001453308

გადაწყვეტილება

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის
დასრულებამდე სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების შესახებ

ცენტრში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დასაბუთებული შუამდგომლობის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 29 ოქტომბრის სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, "განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^{8}-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის შუამდგომლობა და "საჯარო მმართველობის" 240 კრედიტიანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა მიმდინარე სასწავლო სემესტრი (2025 წლის 15 თებერვლამდე) დაასრულონ აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.
2. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 12 ნოემბრის №1452148 სხდომის ოქმის №08 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში,

სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2 ან ქ. თბილისის სამოქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი № 64.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ლომინაძე თამარ

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს წევრი
დურული ციური

ელექტრონული
ზუსტი
ასლი
ელექტრონული